პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის „ “ ოქტომბერი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ.N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში; ზ.გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10- ში; ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ.N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ. N10-ში, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ. N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211 დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს განაშენიანების დეტალური გეგმის პირველ ეტაპს.

განმცხადებელი - შპს „ბლექ სი თაუერ'', ს/ნ 445597284, შპს „ცენტრალ სითი ლაინი'', ს/ნ 445686687. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი"-ს მე-5 დანართის - გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის (სარეკომენდაციო) მე-9 პუნქტის „ა)" ქვეპუნქტის გათვალისწინებით სულ გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 108500 კვ.მ-ს. გეგმარებითი ერთეული მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს და მათი ფართობი შეადგენს 8003,00 კვ.მ-ს, • დაგეგმვის ძირითადი მიზნები და ამოცანები, მათი მიღწევისა და გადაწყვეტის გზები; დაგეგმილი პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით 05.24.05.126, 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, უნდა განთავსდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=17,0 პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=17,0-მდე, რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ.N8-ს მიმდებარედ; ფიროსმანის ქ.N10-ში; ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ; გორგილაძის ქ. N113-ში; ფიროსმანის ქ.N12-ში; გორგილაძის ქ. N111-ში და გორგილაძის ქ. N120-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. (ს.კ.05.24.05.126; 05.24.05.017; 05.24.05.234; 05.24.05.132; 05.24.05.189; 05.24.05.192; 05.24.05.211 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი ს ს/შ მამუკა რამიშვილი